სტრატეგიული განვითარების სამოქმედო

გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი
ანგარიშის შედგენის თარიღი	2024 წლის 1 მარტი

აქტივობა 1.1.1	**საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევა და პროცედურის ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, დეკანები (6).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად არ განხორციელებულა აქტივობები.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.

აქტივობა 1.1.2	**პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი ინფორმაციის მისაღებად შეირჩა საგზაო რუკით გათვალისწინებული სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც ონლაინფორმატით განხორციელდა. რაოდენობრივი კვლევის ეს მეთოდი ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 34 ლექტორთან (ყველა აკადემიური სკოლიდან 6-6 პირი) და სტუდენტთან. დოკუმენტურად შემოწმდა სტუდენტთა შეფასებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება ტურიზმისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით. პროგრამის კომიტეტებზე, განიხილეს ცვლილებების პროექტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პერმანენტულად ახორციელებს პროგრამის განხორციელების მონიტორინგს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონის დადგენა, სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხის განსაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, მაღალია, რაც დასტურდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესაბამისი მაჩვენებლებით. სასწავლო გარემოს შეფასებამ გამოავლინა, რომ სტუდენტების

	კმაყოფილების დონე მაღალია სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, სწავლების ხარისხთან, სწავლების პროცესში გამოყენებულ სასწავლო მასალასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, შეფასების ობიექტურობა-გამჭვირვალეობასთან მიმართებითაც. რესპონდენტთა კომენტარებში გამოიკვეთა ძირითადი შინაარსი, რომლის მიხედვით იგრძნობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ლექტორების კვალიფიციურობა, სათანადო ყურადღება სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ამაღლებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.6	**პროგრამების განხორციელების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა აკადემიური კომიტეტის სხდომებზე.**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დიკუმენტაციის ანალიზი შემოწმდა აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომა ჩატარდა 2023 წლის ოქტომბერში. სხდომაზე განიხილეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიშები სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები გადაეცა სკოლებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.7	**ინტეგრირებული და ერთობლივი საგანამანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და განხორციელება (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია)**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები, დეკანები (11).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოეთის პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.3.6	**უცხოელ პროფესორთა მოწვევა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო კურსების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურისა და საგანამანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები (7)

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ინტენსიურად განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან, გრუნის აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვა უცხოელი პროფესორების ლექციებში ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი კომპონენტია. **2024 წლის 25 იანვარს** ტეხას ა&მ-ის უნივერსიტეტის კვლევითი სემინარების პროგრამის მესამე ნაკადი გაიხსნა პროფესორ რიფსიმე ბლედსოს ლექციით, რომელსაც ესწრებოდნენ გრუნის ახალგაზრდა მკვლევრები და აკადემიური პერსონალი. პროფესორმა რიფსიმე ბლედსომ მსმენელებს გაუზიარა თავისი ცოდნა და გამოცდილება ხელოვნური ინტელექტის საფრთხეებსა და შესაძლებლობებზე განათლებაში. დოქტორმა ბლედსომ განიხილა შემდეგი საკითხები: რა არის ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნური ინტელექტის სიძლიერეები და საფრთხეები, ეთიკური პასუხისმგებლობა, AI, როგორც მწვრთნელი და როგორც აზროვნების პარტნიორი, კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები და სხვა. https://gruni.edu.ge/main/news/1707658747 **2023 წლის 21 ნოემბერს** გრუნის ბათუმის წარმომადგენლობას ეწვია **თიმ ბუნიევაცი**, სამართლის დოქტორი, ექსპერტი, სასამართლოს ადმინისტრაციის ჯილდოს მფლობელი, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველი. დოქტორ ბუნიევაცს ავსტრალიაში აქვს პრაქტიკოსი იურისტის, იუსტიციის მინისტრის მრჩევლისა და სასამართლო სისტემის კონსულტანტის 20- წლიანი გამოცდილება. მან დააარსა ადამიანებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სასამართლოები ავსტრალიაში, არის სასამართლო ადმინისტრირების საერთაშორისო ჟურნალის რედაქტორი; იყო სასამართლო ადმინისტრაციის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრი. სამართლისა და საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებს ექსპერტი ესაუბრა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე, მათ შორის, შესაბამის თეორიულ მიდგომებსა და სასამართლოების საქმიანობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის გაზრდის სტრატეგიებზე. სტუმრის პრეზენტაცია მოიცავდა ტრადიციულ და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სასამართლოებს შორის განსხვავებების შესწავლას; სასამართლოებში ადამიანზე ორიენტირებული დიზაინის ხუთი ქვაკუთხედის აღწერას; სასამართლოსა და საზოგადოებას შორის სასამართლოს გარეთ ურთიერთობის გაფართოების შესაძლო სფეროებს; სასამართლოს საზოგადოებრივი გამოკითხვის მაგალითებს;

	სასამართლო-სათემო მრჩეველთა საბჭოების როლსა და ფუნქციებს; სასამართლოს საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის მხარდასაჭერად გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვის შესაძლებლობებს. https://gruni.edu.ge/main/news/1701851707 **2024 წლის 8 თებერვალს** ტეხას ა&მ-ის უნივერსიტეტის კვლევითი სემინარების ფარგლებში გაიმართა ამერიკის ბირთვული მედიცინის ცენტრის დირექტორისა და პროფესორის რიჩარდ კრეიდერის ონლაინლექცია, რომელიც შეეხებოდა დაფინანსებული კვლევის პროგრამის შემუშავების საკითხებს. პროფესორმა აუდიტორიას გაუზიარა ინფორმაცია დაფინანსების მოძიების შესაძლებლობებზე და მისცა რჩევები გრანტის წერისა და ძლიერი კვლევის პროგრამის შემუშავებავების საკითხებზე. ონლაინსწავლება - „Paths to Publication", მოიცავს კვლევასთან, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებასთან, გამოქვეყნებასა და გრანტებთან დაკავშირებულ სემინარებს, რომელსაც მასპინძლობს ტეხას ა&მ-ის უნივერსიტეტის განათლებისა და კვლევის სკოლა და კურსდამთავრებულების მრჩეველთა საბჭო. სემინარების სერია განკუთვნილია აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1707659369 **2023 წლის 9 ნოემბერს** გრუნის ეწვია ბლუმბერგის კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხელმძღვანელი, ჯანსაია ედილჰაბი. მან საინტერესო ლექცია წაიკითხა გრუნის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, შემდეგ კი ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანთან, პროფესორ ვახტანგ ჭარაიასთან ერთად განიხილა შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. ვიზიტის ფარგლებში ქალბატონმა ჯანსაიამ დაათვალიერი უნივერსიტეტის სტუდენტური საინვესტიციო ფონდი, რომლის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რატი ქირიამ, სტუმარს დაწვრილებით გააცნო ცენტრის აქტივობები და გეგმები, გამოითქვა ბლუმბერგთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1701240452 2023 წლის 14 სექტემბერს ტეხასის ა&მ უნივერსიტეტის კვლევითი სემინარების მეორე სემესტრი დაიწყო **დევიდ ჰუბარტის** ლექციით. მან მსმენელებს გაუზიარა თავისი გამოცდილება ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად, განმარტა, როგორ ამოვიცნოთ „მტაცებლური ჟურნალები" და რა უნდა გავითვალისწინოთ მათთან ურთიერთობისას. 2023 წლის 28 სექტემბერს კვლევითი სემინარების ფარგლებში გამართულ

	ონლაინლექციაზე დოქტორმა **ჩაკ ჰუბერმა** ისაუბრა სტატისტიკისა და კვლევის მეთოდოლოგიის ფუნდამენტურ კონცეფციაზე, ნიმუშის ზომასა და სტატისტიკურ სიმძლავრეზე, რომლებიც წარმოადგენს არსებით ელემენტებს ექსპერიმენტებისა და კვლევების შემუშავებისას. აღინიშნა, რომ ამ საკითხების გაგება გადამწყვეტია კვლევების ეფექტურად დაგეგმვის, შედეგების მიღწევისა და არასწორი დასკვნების თავიდან ასაცილებლად. სერიის მესამე ლექცია "სწორი თანამშრომლის პოვნა" 2023 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა. **დოქტორმა ჯეიმს ფლაკიმ,** ტეხასის A&M უნივერსიტეტის ჯანდაცვისა და კინეზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა, მსმენელებს გაუზიარა ღირებული მოსაზრებები ეფექტური თანამშრომლობის მისაღწევად და პროდუქტიული კვლევის შედეგების მოსაპოვებლად. ტეხას ა&მ უნივერსიტეტის კვლევითი სემინარების ბოლო შეხვედრა 2023 წლის 9 ნოემბერს გაიმართა და მას უძღვებოდა **დოქტორი პატრიცია გუდსონი,** ტეხასის A&M უნივერსიტეტის საპრეზიდენტო პროფესორი ჯანდაცვის სფეროში. ლექციის ფარგლებში, პროფესორმა გუდსონმა აუდიტორიას გაუზიარა აკადემიური წერის ეფექტური სტრატეგია და რესურსი. სამივე ლექციას ესწრებოდნენ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ახალგაზრდა მკვლევრები. https://gruni.edu.ge/main/news/1699611558 https://gruni.edu.ge/main/news/1697189879 https://gruni.edu.ge/main/news/1694849333 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.1	**დამსაქმებლებთან შეხვედრების, მასტერკლასების, საჯარო ლექციების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ონლაინ გამოიკითხნენ: დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის წევრები, სტუდენტები (27), შეფასდა გაწეული საქმიანობა.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტმა მიმდინარე საანგარიშო წელს შეიმუშავა პარტნიორებთან თანამშრომლობის კონცეპტუალურად განსხვავებული მოდელი, რომელიც ეფუძნება კლასტერულ თანამშრომლობას და ეს პირველ ეტაპზე სკოლების გაძლიერებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით განახორციელა. 2023 წლის დეკემბერში თანამშრომლობის დეკლარაცია გაფორმდა საქართველოს 42 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან, 2024 წლის იანვარში კი სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით (Gruni Card) - 20-მდე კომპანიასთან. მიღებული გადაწყვეტილების პირველი შედეგები იმსახურებს ყურადღებას და გრუნი გეგმავს, განაგრძოს ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოება.https://gruni.edu.ge/main/news/1707367276 https://gruni.edu.ge/main/news/1705325153 2024 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, უნივერსიტეტს დადებული აქვს 245 ხელშეკრულება, რომელთა მიზანია სასწავლო/პროფესიული პრაქტიკის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საერთაშორისო პროგრამების/პროექტების, სასწავლო, შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება და სხვა. **კონკრეტული ღონისძიებები:** **2023 წლის 13 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის დასაქმების ფორუმი გაიმართა. 22 კომპანიის წარმომადგენელმა სხვადასხვა ვაკანსია შესთავაზა ახალგაზრდებს. ღონისძიებაში მონაწილე კომპანიები იყვნენ: ავტობანი, ახალი ხედვა, ტენე, ლოიალტე. ჰირო, სფერო ჰოლდინგი, კარფური, პოლიგრაფიული ჰაბი, ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება, ზრუნვის სააგენტო, დასაქმების სააგენტო, ევორქი, ლენდაფი, რედისონი, მადარტი, ვენდისი, თეგეტა მოტორსი, აგროჰაბი, გუდვილი, კრისტალი, დელოიტი და ტუში, პალიტრა. ბიზნესისა და მართვის სკოლის თაოსნობით დასაქმების ფორუმი გრუნიში სისტემატიურად ტარდება და უკვე მრავალ სტუდენტს შეუწყო ხელი მისთვის სასურველი სტაჟირებისა და დასაქმების მოძიებაში, მათ შორის, სტუდენტებზე ორიენტირებული გრაფიკით, ანაზღაურებითა და განვითარების პერსპექტივით. https://gruni.edu.ge/main/news/1703602987 **2023 წლის 5 დეკემბერს** უნივერსიტეტში ჩატარდა დამსაქმებელთა ფოკუსჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში არსებული და სამომავლო მოთხოვნების გამოვლენა და ამ სფეროში მოღვაწე კომპანიებისა და ასოციაციების წარმომადგენლების რჩევებისა და რეკომენდაციების მოსმენა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის გასაუმჯობესებლად. შეხვედრას ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და

	რეკლამის სამსახურის უფროსი ნინო ხახუბია, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი შალვა ალავერდაშვილი, ბათუმის ბულვარის დირექტორის მოადგილე სოფიო ლაზიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის ფედერაციის TIFA-ს პრეზიდენტი აკაკი ბერიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გიდების ასოციაციის თავმჯდომარე და ტურიზმის ფედერაციის დამფუძნებელი თემურ ზოიძე, საქართველოს ნორდიული სიარულის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ეკა აფციაური, ტურისტული კომპანია TRAVELGURU-ს ხელმძღვანელი ზურაბ ყარაბუღაშვილი, ტურისტული კომპანია Trippoint-ის დამფუძნებელი ესმა ნაცვლიშვილი. ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ, მაკა ფირანაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ტურიზმის ახალი პროგრამა და სასწავლო გეგმა-მატრიცა, რამაც დამსაქმებლების მოწონება დაიმსახურა. დამსაქმებელთა მიერ გამოითქვა რეკომენდაციები, გრუნის წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს კითხვებს. შეხვედრა სამუშაო ვითარებაში წარიმართა. https://gruni.edu.ge/main/news/1702560598 **2023 წლის 24 ნოემბერს** გრუნის ბათუმის წარმომადგენლობას სტუმრობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მარინე პაპუნიძე, რომელმაც სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. სტუმარმა სტუდენტებს გააცნო ორგანიზაციის საქმიანობა და ისაუბრა: მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე: იმიგრაცია და საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, მიგრანტების დაცვა და დახმარება, მიგრანტთა ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი მიგრაცია და ადამიანური რესურსის განვითარება; აღინიშნა, რომ IOM მხარს უჭერს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას და უზრუნველყოფს მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერებას. ახალგაზრდები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის, შრომითი მიგრაციის, თავშესაფრის მოთხოვნისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებით. https://gruni.edu.ge/main/news/1701842953 **2023 წლის 9 ნოემბერს** გრუნის ტურიზმის პროგრამის სტუდენტებს სტუმრობდა საქართველოს ნორდიული სიარულის ფედერაციის ვიცე - პრეზიდენტი **ეკა აფციაური.** სტუდენტებთან შეხვედრაზე სპეციალისტმა ისაუბრა საფეხმავლო და სამედიცინო ტურიზმში ნორდიული სიარულის გამოყენების შესახებ. განხილული იქნა ნორდიული სიარულის ისტორია, ფედერაციის საქმიანობა და მისი

	მიმართულებები, სკანდიტურების ცნება და მისი უპირატესობები. სტუმარმა ჯოხების გამოყენებით სტუდენტებისთვის ჩაატარა საჩვენებელი მასტერკლასი ნორდიულ სიარულში. https://gruni.edu.ge/main/news/1700629042 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.4.3	**კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: შემთხვევის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს მუშაობა კურსდამთავრებულთა პლატფორმის შესაქმნელად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.4.5	**შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მყისიერად ინფორმირების სისტემის განვითარება.**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით/დახული კითხვებით, შესწავლილ იქნა 41 სტუდენტის მოსაზრება ინფორმირების ოპერატიულობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, შემოწმდა ინფორმირებისათვის გამოყენებული სხვა ფორმები: ვებგვერდი, სოციალური ქსელი და SMS შეტყობინებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი განაგრძობს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ სტუდენტთა მყისიერ ინფორმირებას. საანგარიშო პერიოდში ყველა ინფორმაცია განთავსებულია, ძირითადად, ვებგვერდზე, ასევე, სოციალურ ქსელში. https://gruni.edu.ge/main/news/1709548495 https://gruni.edu.ge/main/news/1705055415 ამასთან, უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის თავადაც მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან და განათავსებს ვებგვერდზე, ანონსის ველში. დასაქმების შესახებ ინფორმაციის გაცნობა სტუდენტებს , ასევე, შეუძლიათ გრუნის ოფიციალურ ვებგვერდზე, „მიმდინარე ვაკანსიების“ ველში. საკადრო საკითხების განხილვისას უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს გრუნის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.7	**სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან, საღამოების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესამოწმებლად ონლაინგამოიკითხა 48 სტუდენტი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ აღინიშნა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა, არსებობის 30 წლის განმავლობაში, თავისი საქმიანობით დაადასტურა, რომ ის სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდისა და სპეციალისტთა ახლი თაობის მომზადებისადმი მაღალი პასუხისმგებლობის

	მქონე ორგანიზაციაა, რომელიც განუხრელად იღწვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართოს საგანმანათლებლო საქმიანობა და აღზარდოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი ახალგაზრდები, შესაბამისად, მაღალია მათი მხარდაჭერისა და წარმოჩენის ხარისხი. **კონკრეტული ღონისძიებები:** **2024 წლის 30 იანვარს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრის ორგანიზებით GRUNI CARD-ის პრეზენტაცია გაიმართა. გრუნიმ დააფუძნა სტუდენტური მხარდაჭერის კლასტერი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ფასდაკლებით ისარგებლებენ სხვადასხვა სფეროს ბიზნესსექტორის სერვისებით (დასვენება, ჯანდაცვა, კულტურა, თავის მოვლა, კვება, მოგზაურობა, განათლება, გართობა და სხვა). პროექტი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბით და ქართულ რეალობაში ანალოგი არ აქვს. პრეზენტაციაზე გრუნის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ, მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს თავად გადასცა GRUNI CARD. უნივერსიტეტისა და ბიზნესსექტორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც სოციალური კაპიტალის გაძლიერების, ისე ახალგაზრდების შესაძლებლობების, ხელმისაწვდომობის განვითარებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1707367276 **2023 წლის 16 დეკემბერს** გრუნის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დამდეგი შობა-ახალიწელი ერთად აღნიშნეს. საახალწლო წვეულებაზე, რომელსაც თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის 250-მდე სტუდენტი ესწრებოდა, ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს რექტორსა და აკადემიურ პერსონალს გაწეული შრომისათვის და მშვიდობიანი და წარმატებული წელი უსურვეს მშობლიურ უნივერსიტეტსა და ლექტორებს. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ შეაჯამა 2023 წელი, ისაუბრა მიღწეული წარმატებების შესახებ, აღნიშნა, რომ ეს შედეგი ერთიანი ძალისხმევისა და შრომის დაფასებაა და იმედი გამოთქვა, რომ დამდეგი წელი კიდევ არაერთ წარმატებას მოუტანს უნივერსიტეტს. ახალი წელი მეგობრებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მიულოცა ახლად არჩეულმა სტუდენტურმა ომბუდსმენმა ნიკა ნაჭყებიამ. წვეულებაზე სტუდენტებმა, ტრადიციისამებრ, გამოავლინეს მის და მისტერ გრუნი, მის და მისტერ ელეგანტურობა, წელს ეს საპატიო წოდებები, სტუდენტთა გადაწყვეტილებით, წილად ხვდათ: https://gruni.edu.ge/main/news/1705076084 **2023 წლის 18 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია: “ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება". ლექციას უძღვებოდა უსაფრთხოების სფეროს

	მკვლევართა ასოციაციის თავმჯდომარე. სამართლის დოქტორი, პროფესორი ბესიკ ობოლაძე. მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მნიშვნელობისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ასევე, მოიყვანა პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ისრაელი, შვედეთი) შეიარაღებული ძალების სამსახურში ქალთა მონაწილეობასთან. https://gruni.edu.ge/main/news/17035042 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ გელა ბანძელაძის სახელობის პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრში, სამართლის სკოლის სტუდენტები, ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ მალხაზ ბაძაღუას ინიციატივით და კონსულტაციით ახორციელებენ საუნივერსიტეტო პროექტს **„თავისუფლება და პასუხისმგებლობა სტუდენტური ეთიკის კონტექსტში“**. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრგვალი მაგიდისა და სტუდენტთა შორის სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსის ახალი ვერსიის მომზადება ქართულ და ინგლისურ ენაზე. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული აქტივობები გაშუქდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ „კრიმინოლოგში“. პროექტის ხელმძღვანელია- უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი, სტუდენთა ომბუდსმენი **ნიკოლოზ ნაჭყებია.** პროექტის მონაწილეები არიან- სამართლის სკოლის სტუდენტები: **მ**არიამ კაპანაძე, სალომე მეურმიშვილი, ნინი გოცირიძე, სანდრო გაგიშვილი, ელენე გიორგაძე, ვერიკო ბაღათრიშვილი, თამაზ მარიამული, მარიამ ნიშნიანიძე და კობა ანთაძე. დეკემბრის მეორე ნახევარში, დაგეგმილია მრგვალი მაგიდის ჩატარება და უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსის ახალი ვერსიის პროექტის პრეზენტაცია. https://gruni.edu.ge/main/news/1702442530 **2023 წლის 8 დეკემბერს** სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გუნდი - “GRUNI“, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო **ცენტრის** მიერ ორგანიზებულ ინტელექტუალური თამაშის - “რა? სად? როდის?“, ჩემპიონატში ჩაერთო. სტუდენტთა გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ წარჩინებული სტუდენტები: ნიკოლოზ ნაჭყებია (გუნდის კაპიტანი), გიორგი ათაბეგაშვილი, ლიზი ჩხეტიანი, სანდრო გაგიშვილი, მარიამ კაპანაძე, ვერიკო ბაღათრიშვილი. სტუდენტთა გუნდმა ამ ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა და ორგანიზატორთა მადლობა დაიმსახურეს. https://gruni.edu.ge/main/news/1702984210 **2023 წლის 5 დეკემბერს,** ადამიანის უფლებების სამართლის

	საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში, სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლებისა და ა(ა)იპ „ Student Day-off&quot“-ის ორგანიზებით, სტუდენტებისათვის მოეწყო საჯარო დისკუსია თემაზე: „დაზარალებულის პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“. დისკუსია წარმართეს სამართლის სკოლის ასოცირებულმა პროფესორმა ამირან მოსულიშვილმა და ადვოკატმა სალომე მიქაუტაძემ.საჯარო დისკუსიამ და განხილულმა საკითხებმა სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ყველა სტუდენტს მიეცა თავისი აზრის გამოხატვის საშუალება.**https://gruni.edu.ge/main/news/1702985328** მარიამ კაპანაძე პროფესორ ირაკლი ყანდაშვილის სახელობითი სტიპენდიის პირველი მფლობელი გახდა. გრუნის სამართლის სკოლის წარჩინებული სტუდენტი წელიწადზე მეტია წარმატებით მონაწილეობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრის სასწავლო-პრაქტიკულ საქმიანობაში. უნივერსიტეტმა ის გამოარჩია: მაღალი აკადემიური მოსწრებით, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ საქმიანობასა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაში შეტანილი წვლილით. 2023 წლის შემოდგომის სემესტრის სტიპენდიანტს უნივერსიტეტი 2024 წლის დასაწყისში დაასახელებს. სახელობითი სტიპენდია გრუნის სამართლის სკოლის სტუდენტისათვის რამდენიმე თვის წინ დაწესდა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის პროფესორის - ირაკლი ყანდაშვილის, ინიციატივით, რითიც მან შექმნა დამატებითი მხარდაჭერის შესაძლებლობა ნიჭიერი, წარმატებული სტუდენტებისათვის. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი მადლობას უხდის პროფესორ ირაკლი ყანდაშვილს ამ ინიციატივისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1700035899 **2023 წლის 7 ნოემბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო საერთაშორისო დელეგაციის შეხვედრას, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა. სტუდენტებმა ევროპის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს ფრანგულ ენაზე წარუდგინეს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი და გააცნეს სამომავლო პროექტები და გეგმები. გრუნის ახალგაზრდებმა შეხვედრის მონაწილეები მოხიბლეს ფრანგული ენის ცოდნითა და აქტიურობით. უნივერსიტეტი 2018 წლიდან ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს პარტნიორია, 2011 წლიდან კი მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირების საფრანგეთის უმაღლეს საგანამანათლებლო

	დაწესებულებებთან, შესაბამისად, გრუნიში ათ წელზე მეტია ფრანგული ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსი ფუნქციონირებს. https://gruni.edu.ge/main/news/1700046656 **2023 წლის 8 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს მწერალი დათო ტურაშვილი ეწვია. სტუდენტებთან შეხვედრაზე მწერალმა ისაუბრა საკუთარ შემოქმედებაზე, ზოგადად, ქართულ მწერლობაზე, შემოქმედებით პროცესზე, გაიხსენა ამ პროცესის თანმდევი არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ცხოვრებიდან და ა. შ. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე მიიღეს ამომწურავი პასუხი. ღონისძიება გრუნის ბიბლიოთეკის მიერ იყო ორგანიზებული. https://gruni.edu.ge/main/news/1701840445 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმატებით საქმიანობს ახალგაზრდების პიროვნული განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით. მრავალმხრივი და საინტერესოა მათ მიერ განხორციელებული პროექტები ლიდერობის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და პროფესიული ეთიკისა დამკვიდრების თვალსაზრისითაც. 2023 წლის 4 ნოემბერს, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები შემეცნებით-კულტურული ტურით კახეთს, იყალთოს, ესტუმრნენ. მოინახულეს ამ მხარის ღირსშესანიშნაობები, დაისვენეს, გაერთნენ და მიმდინარე და სამომავალო საქმიანობის საკითხების შესახებაც იმსჯელეს.**https://gruni.edu.ge/main/news/1701236867** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს რუსთავის მერი, ნინო ლაცაბიძე, ესტუმრა. ქალი - საჯარო სამსახურში - ასეთი გახლდათ განსახილველი თემა. გრუნის სამართლის სკოლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტებთან შეხვედრაზე მერმა ისაუბრა თავისი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, აღნიშნა, რომ რუსთავის მერიის პრიორიტეტია ადგილობრივი ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათ მხარდასაჭერად სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული, სოციალური, ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთანავე, მან სტუდენტებს გააცნო რუსთავში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული, სოციალური და ეკონომიკური პროექტები. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის ფორმატით. შეხვედრის დასასრულს მერმა გრუნის სტუდენტები მიიწვია რუსთავის თანამედროვე მომსახურების ცენტრში, სადაც ისინი ადგილზე გაეცნობიან სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისს. https://gruni.edu.ge/main/news/1698988118

	2023 წლის 28 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა საზეიმოდ გააცილა კურსდამთავრებულები. ყველაზე მნიშვნელოვანი დღე უნივერსიტეტისა და კურსდამთავრებულების ცხოვრებაში - კვალიფიკაციის მინიჭების დღე! როდესაც სრულდება სწავლა-სწავლების პერიოდი და უნივერსიტეტი ანგარიშს აბარებს საზოგადოებას გაწეული შრომის თაობაზე. კურსდამთავრებულები კი - ახალი ცხოვრების, ახალი გამოწვევებისა და სულ სხვა რეალობის წინაშე იმ ცოდნით წარსდგებიან, რომელიც მათ უნივერსიტეტმა მისცა! განსაკუთრებული, საზეიმო და ამაღლებული იყო ეს დღე უნივერსიტეტში. პროფესორ-მასწავლებლებთან და კურსდმათავრებულებთან ერთად ამ სიხარულს იზიარებდნენ ახალგაზრდების ოჯახის წევრები, მეგობრები! რექტორის მოადგილემ - გიორგი მირიანაშვილმა, უნივერსიტეტის სახელით ყველა კურსდამთავრებულს მიულოცა სწავლის დასრულება, შემდგომი წარმატება უსურვა მათ ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის სასახელოდ და დეკანებთან ერთად გადასცა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები. **https://gruni.edu.ge/main/news/1702378644** 26 სექტემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში პირველკურსელების საზეიმო მიღების ცერემონია გაიმართა. საგანგებოდ მორთულ უნივერსიტეტის ეზოში პირველკურსელებს დახვდნენ: რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. საზეიმო ცერემონიას არაერთი ამაღელვებელი წამი ამშვენებდა: უნივერსიტეტის დროში შემოტანა; პირველკურსელთათვის ესტაფეტის გადაცემა; ფიცის დადების ცერემონია; უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ სტუდენტობა მიულოცა და საინტერესო და წარმატებული წლები უსურვა ახალგაზრდებს: ამ საზეიმო დღეს სტუდენტებმა იმ ახალგაზრდებსაც მიაგეს პატივი, რომლებიც შოვის ტრაგედიის გამო გამოაკლდნენ გრუნის სტუდენტთა რიგებს. ცერემონიის დასასრულს, ფოიერვერკების ფონზე, საზეიმოდ გაიჭრა ტორტი! წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში 727 სტუდენტი ჩაირიცხა, მათგან 400-მდე ახალგაზრდამ გრუნის სხვადასხვა პროექტში წარმატებული მონაწილეობით მიიღო საუნივერსიტეტო გრანტი. ყოველწლიურად მზარდ რაოდენობასთან ერთად სტუდენტთა შემადგენლობა ხარისხობრივადაც უმჯობესდება. https://gruni.edu.ge/main/news/1701320311 **2023 წლის 27 სექტემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უმასპინძლა ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ დელაგაციას - მოხალისე ახალგაზრდებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ხელმძღვანელობდა პროგრამების კოორდინატორი - ანა კაციაშვილი. მოხალისეები,

	რომლებიც ევროკავშირის პროექტების ფარგლებში საქართველოში ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის სამოხალისეო აქტივობას, დაესწრნენ გრუნის ბიზნესინგლისური ენის ლექტორის - ანა აბესაძის, ლექციას ელექტრონული წერილის წერის ეტიკეტის შესახებ. ლექციის ბოლოს მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ კითხვები და გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება. პრეზენტაციის ბოლოს სტუმრებმა კამპუსი, ბიბლიოთეკა, მულტიმედიაცენტრი და კრიმინალისტიკის ლაბორატორია დაათვალიერეს. https://gruni.edu.ge/main/news/1696223487 **2023 წლის 5 სექტემბერს** გრუნის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები კერძო სკოლა „ლომისს“ ეწვივნენ და ახალი, 2023-2024, სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს პირველკლასელებს და კიდევ ერთხელ მიულოცეს სასწავლო წლის დაწყება. კერძო სკოლა „ლომისი“ ორი წელია გრუნის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებაა, ამ ხნის განმავლობასი უნივერსიტეტმა მოსწავლეებთან ერთად არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. https://gruni.edu.ge/main/news/1695277060 **2023 წლის სექტემბერში,** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) სრული დაფინანსებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები - ანა ურუშაძე, ბიზნესადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, მე-2 კურსი და სალომე ონეზაშვილი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, მე-2 კურსი - გაემგზავრნენ მონტენეგროში გამართულ ფრანკოფონ სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე. ფესტივალი, ტრადიციულად, ყოველ წელს იმართება და მასში სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები მონაწილეობენ. ამგვარი შეკრებები ფრანგული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და კულტურულ - საგანმანათლებლო დანიშნულებისაა, ახალგაზრდები ეცნობიან ფრანგულ კულტურას, ტრადიციებს და ფრანგულადვე წარუდგენენ თავიანთ ქვეყანას მეგობრებს. სტუდენტები შეირჩნენ ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე. https://gruni.edu.ge/main/news/1694015246 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.2	**ინოვაციური ლაბის შექმნა და საქმიანობის განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხვა ბიზნესისა და მართვის სკოლის აკადემიური პერსონალი (5)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**2023 წლის 4 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მდგრადი განვითარების ცენტრი (GRUNI SDGs) გაიხსნა. გრუნიმ კვლევითი ცენტრი საერთაშორისო კომპანია Libra Alliance-თან ერთად დააფუძნა, რომელიც მდგრადობის მიმართულებით აკადემიურ კვლევებსა და მრავალფეროვან პროექტებს განახორციელებს, ამასთან, აქტიურად ითანამშრომლებს გაეროსა და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან; სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს როგორც აკადემიურ, ისე სასერტიფიკატო კურსებს, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები გაუძღვებიან. ცენტრის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ** და კომპანია ლიბრა-ალიანსის პრეზიდენტმა, პროფესორმა **მედი მაჯიდიმ,** რის შემდეგაც გაიმართა პანელური დისკუსია. ცენტრი სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად საზოგადოებაში მდგრადი განვითარების საკითხების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. https://gruni.edu.ge/main/news/1696852005 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 2.1.6	**საბიბლიოთეკო რესურსის გაფართოება საგანმანათლებლო პროგრამების ზრუნველყოფისა და ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის კვლევების საჭიროების შესაბამისად**

მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, სულ 38 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: განახლებული წიგნადი ფონდი - ნაჩუქარი, ნაყიდი, ელექტრონული და ფიზიკური სახით; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვისა და აღრიცხვის სისტემა, ასევე, სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა როგორც ცოდნის გავრცელების, გაზიარების, ინტელექტუალური და კულტურული კომუნიკაციის ცენტრი, სრულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევის პროცესს შესაბამისი სამეცნიერო და საინფორმაციო-მეთოდური ლიტერატურით, მასალით; ხელს უწყობს მომხმარებლებში საინფორმაციო-შემეცნებითი კულტურის ფორმირება-განვითარებას, საძიებო აპარატით სარგებლობისა და წიგნის დამუშავების უნარის ჩამოყალიბებას. ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. 2024 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, ცხრაჯერ არის გაზრდილი 2019 წელთან შედარებით ბიბლიოთეკის წიგნადი და პერიოდიკის ფონდისთვის დახარჯული ფინანსური სახსრები. გრუნი 2019 წლიდან თანამშრომლობს „საკანონმდებლო მაცნესთან“. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დახმარებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა **Elsevier-ის** ბაზებზე. აგრეთვე, გაფორმებულია ხელშეკრულება **„EBSCO”-სა** და **„ჰეინონლაინის”**- სამეცნიერო ბაზის გამოყენების შესახებ. სისტემა ავტომატურად ახორციელებს მომხმარებლის გადამისამართებას შესაბამის მონაცემთა ბაზებზე, ბაზების მისამართზე შესვლა შესაძლებელია უნივერსიტეტის

	ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობისა და ყოველგვარი დამატებითი ავტორიზაციის გარეშე. გრუნის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ საერთაშორისო ორგანიზაცია CROSSREF-ში გაწევრიანდა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პუბლიკაციათა მსოფლიო ხელმისაწვდომობას. ასოციაცია CROSSREF აერთიანებს მსოფლიოს საუკეთესო აკადემიურ გამოცემებსა და ორგანიზაციებს, მისი სერვისით სარგებლობს მეტრული მონაცემების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები - Scopus და Web of Science. CROSSREF-ის ციტირების ბაზა მოიცავს 80 მლნ. სამეცნიერო პუბლიკაციას. ჟურნალი უკვე ხელმიოსაწვდომია BASE - ის საძიებო სისტემაშიც. BASE არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი საძიებო სისტემა, განსაკუთრებით აკადემიური ვებ რესურსებისთვის. BASE მომხმარებელს სთავაზობს 340 მილიონზე მეტ დოკუმენტს 11000-ზე მეტი კონტენტის პროვაიდერისგან. ინდექსირებული დოკუმენტების დაახლოებით 60%-ის სრულ ტექსტებზე წვდომა შესაძლებელია უფასოდ. ჟურნალ „აკადემიურ მაცნეს“ მინიჭებული აქვს DOI-ს (Digital Object Identifier), ანუ ობიექტის საერთაშორისო ციფრული უნიკალური კოდი. DOI – ს კოდი ექნება ასევე ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულ ყველა ნომერსა და სტატიას. https://gruni.edu.ge/main/news/1705336296 ბიბლიოთეკა მომხმარებლებს მუდმივად სთავაზობს სიახლეებს სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან ან ახალ საინფორმაციო სამეცნიერო რესურსებთან დაკავშირებით, კერძოდ: გრუნის სამეცნიერო ჟურნალის - „აკადემიური მაცნე“, ცნობადობის ასამაღლებად განხორციელდა დამატებითი ღონისძიებები, ახლა ის ხელმისწვდომია შემდეგ პლატფორმებზე: • განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში - ივერიელი, https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/149473; • რეფერირდება ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ), www.techinformi.ge; ჟურნალი პოლითემატურია და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის ადმინისტრირება, საჯარო მმართველობა, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, მედიცინა და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1703515558 **2023 წლის 7 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი სამეცნიერო ელექტრონული ბაზებისა და

	ელექტრონული სისტემების გამოყენების შესახებ. სწავლების მონაწილეებმა მიიღეს საერთაშორისო ბაზასთან მუშაობის ინსტრუქცია: **“EBSCO“** -ს, **“Business Source Elite“-ის, და “HeinOnlain“** -ის ბაზები სტუდენტებს გააცნო ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ გუგული თურმანიძემ, **"ELSEVIER“** -ის ბაზების სწავლების პროცესი უზრუნველყო ბათუმის კამპუსის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **მედეა მიქელაძემ** და სპეციალისტმა თამუნა თურმანიძემ. სტუდენტებმა თავადაც შეასრულეს სხვადასხვა ჟურნალის, სახელმძღვანელოსა თუ წყაროს მოძებნა/მოძიება. სწავლება, რომელსაც ყოველსემესტრულად ახორციელებს წარმომადგენლობის ბიბლიოთეკის პერსონალი, ემსახურება უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო სფეროში ყველა ხელმისაწვდომ ბაზასთან სტუდენტების წვდომას, მათი სამეცნიერო სფეროსადმი ინტერესის გაღრმავებას, სწავლის ხარისხისა გაუმჯობესებას. **სტუდენტებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა, რომ თითოეულ სამეცნიერო ბაზაზე წვდომა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის სივრცის გარეთ.** სწავლების ბოლოს ახალგაზრდებს ბიბლიოთეკის მიერ ბეჭდური ფორმით გადაეცათ ელექტრონული ბაზებით და კატალოგებით სარგებლობის ინსტრუქციები. https://gruni.edu.ge/main/news/1702394618 **2023 წლის 19 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკის ინიციატივით, ჩატარდა სწავლება სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ დოქტორანტები და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. სწავლების მონაწილეები გაეცნენ უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომ ყველა ბაზასთან მუშაობის პრინციპებს. სამართლის ბაზის - **“HeinOnlain“** -ის, შესახებ ისაუბრა რექტორის მოადგილემ, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანმა, პროფესორმა გიორგი მირიანაშვილმა. ახალგაზრდა მკვლევრებს **“EBSCO“** -ს ბაზები გააცნო შპს “Innovative Systems Management“ -ის წარმომადგენელმა, მაია მეტრეველმა. **“ELSEVIER“** -ის ბაზები მიმოიხილა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, გულნარა ყეინაშვილმა. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ სამეცნიერო ბაზების საძიებო ინსტრუმენტებს. სწავლებაზე მიღებული ცოდნით დოქტორანტები შეძლებენ თანამედროვე სამეცნიერო სფეროში დაგროვილი ინფორმაციის მოძიებასა და გაზიარებას, რაც მათ დაეხმარებათ კვლევისა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1698333755 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.9	**ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (27). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ციტირების არსებული მონაცემები (რანჟირება) და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით გრუნის შემუშავებული აქვს კვლევების განვითარების პოლიტიკა, რომელიც თითოეულ კვლევით ცენტრს და შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენელ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს აძლევს შესაძლებლობას უკეთ წარმოაჩინონ და გაზარდონ საკუთარი კვლევითი აქტიურობა. ქართული სამეცნიერო სტატიების პროდუქტიულობა გლობალურ დონეზე საკმაოდ დაბალია, 81-ე ადგილი უჭირავს და ჩამორჩება თითქმის ყველა დასავლურ, ევროპულ ქვეყანას. გრუნის მაგალითზე კი, ბოლო წლების განმავლობაში, ფიქსირდება სოლიდური, ნახტომისებრი ზრდა ციტირების კომპონენტში, კერძოდ: ბოლო პერიოდში ჯამური ციტირების ინდექსი გაზრდილია: **548-ჯერ,** 26-დან 14 259 ერთეულამდე. გარდა ციტირებაში ჯამური ნახტომისა, აღსანიშნავია გრუნის პროფესორების მიერ გამოქვეყნებული სტატიების ხარისხობრივი / მაღალი სამეცნიერო ღირებულების მაჩვენებელიც, რაზეც შემდეგი პარამეტრი მეტყველებს: ციტირების 90%-ზე მეტი **SCOPUS-ის** (13 354 ციტირება) და 40%-ზე მეტი **Web of Science**-ის (6060 ციტირება) ბაზებზე მოდის, რაც გრუნის აკადემიური თანამშრომლების სტატიების უმაღლეს დონესა და ხარისხზე

	მეტყველებს. გრუნის მიაჩნია, რომ აღნიშნული ნახტომისებრი პროგრესი უდიდესწილად უნივერსიტეტის წამახალისებელი და მხარდაჭერი აქტივობების დამსახურებაა, ისეთების, როგორებიცაა: სამეცნიერო სტატიების ბეჭდვის დაფინანსება, მათ შორის, უცხოელ თანაავტორებთან ერთად; ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მრავალფეროვნება და სიხშირე; პროფესორების ხელფასში სამეცნიერო აქტივობების გათვალისწინება; პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერების დასაქმება/ ხელშეწყობა, გამართული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და მრავალი სხვა. მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტმა გაფართოებულ სხდომაზე, სკოლებისა და კვლევითი ერთეულების რეკომენდაციით, შეიმუშავა შესაბამისი პრიორიტეტები 2023-2025 წლებისთვის, რომელთა საფუძველზე 2023 წელს დამტკიცდა და გამოცხადდა 2 შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი, რომელშიც 5 სხვადასხვა სკოლიდან წარმოდგენილმა 13-მა განაცხადმა გაიმარჯვა. თითოეულ პროექტში სავალდებულო წესით განსაზღვული იყო პროფესორების და სტუდენტების ერთობლივი თანამშრომლობა. პრიორიტეტი ენიჭებოდა ინტერდისციპლინურ კვლევებსა და აგრეთვე თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობების თანამშრომლობას. აღნიშნული პროექტების ჯამურმა დაფინანსებამ **65 000 ₾** შეადგინა. ჯამში კი საგრანტო პროექტებზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დახარჯულია **534 070 ₾**.. ამგვარი მხარდაჭერის შედეგია, რომ გრუნის მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები აღწევენ წარმატებას საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე. კერძოდ: **2023 წლის 10 ნოემბერს** გრუნის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტმა, კონკურსის საფუძველზე, გამოავლინა შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები: • სამართლებრივი სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოს საბინაო რეფორმების პოლიტიკის კონტექსტში; • პაციენტთა ადვოკატირებისა და სამედიცინო ცოდნის ამაღლების სტუდენტური ცენტრის შექმნა; • პროფესიული ეთიკის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები; • განახლებადი ენერგიების როლი საქართველოში მწვანე ბიზნესის განვითარებში;

	• მედიის საინფორმაციო ნაკადებისა და პიარკამპანიების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში. კონკურსის პირობების თანახმად, გამარჯვებულ პროექტებს პირველ მარტამდე ეძლევათ ვადა წარმოდგენილი კვლევის განსახორციელებლად და სამეცნიერო სტატიის შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1699974083 ეუჟენ იონესკოს სახელობის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა ნინო ქუცნიაშვილმა და ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტმა თინათინ ნოზაძემ გაიმარჯვეს. სამი თვის განმავლობაში ახალგაზრდები საკვლევ თემებზე იმუშავებენ რუმინეთის წამყვან უნივერსიტეტებში. გრანტის ფარგლებში მათ დაუფინანსდებათ მგზავრობის ყველა ხარჯი და მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას 800 ევროს ოდენობით. https://gruni.edu.ge/all_news **2023 წლის 28 თებერვალს,** მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (აშშ) და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები 2024 წლის აგვისტოში სტუმრად ეწვევიან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, ხოლო 2024 წლის ბოლოს ბიზნესისა და მართვის სკოლის წარმომადგენელი ესტუმრება მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დაგეგმილია ერთობლივი კონფერენცია, გაცვლითი პროგრამები, სამეცნიერო-აკადემიური ღონისძიებები, ერთობლივი კვლევებისა და სტატიების გამოცემა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობაhttps://gruni.edu.ge/main/news/1709786860 კოლუმბიის უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლსა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ბიზნესისა და მართვის სკოლამ უფლება მოიპოვა თარგმნოს სახელმძღვანელო - "Sustainable: moving beyond ESG to impact investing", ავტორი: Terrence Keeley. წიგნი ეხება ბიზნესის მდგრად განვითარებას, ანგარიშგების სისტემების როლს და პასუხს სცემს ისეთ გლობალურ შეკითხვას: რა როლი უნდა შეასრულოს ბიზნესმა და ფინანსებმა ჩვენი დროის დიდი სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში? სახელმძღვანელოში ხაზგასმულია მმართველობითი ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა ბიზნესში და მისი როლი

	მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ბიზნესის მიმართულებით მსგავსი წიგნი ქართულ ენაზე ამ ეტაპისთვის არ მოიპოვება და ძალიან სასიამოვნო სიახლე იქნება აკადემიური საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე, სხვა დაინტერესებული პირებისათვის. **https://gruni.edu.ge/main/news/1709787331** **2023 წლის 4 დეკემბერს** შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ფუნდამენტური კვლევების დასაფინანსებლად სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგები, რომლის ერთ-ერთი გამარჯვებული გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლისა და თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ერთობლივად წარდგენილი პროექტია: „ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე (ემპირიული კვლევა განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მაგალითზე)“. https://gruni.edu.ge/main/news/1701881525 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის (GRUNI SDGs) აკადემიური დირექტორი გიგა თვაური, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამშრომლობის ევროპული ასოციაციის (COST) მიერ დასაფინანსებელ კვლევებს შეაფასებს, როგორც ექსპერტი. გიგა თვაური COST-ის მდგრადი ჰიდროენერგეტიკის პროგრამის მმართველი კომიტეტის წევრია, რომელიც პროგრამის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს ჰიდროენერგეტიკის განვითარებისა და გაციფრულების პროგრამაში. COST-ის გარე ექსპერტი, აგრეთვე, გახდა გრუნის ბიზნესის და მართვის სკოლის დოქტორანტი, ასისტენტი და ლექტორი - ნინო საჩალელი. ნინო 2020 წლიდან არის აღნიშნული ორგანიზაციის აფილირებული ექსპერტი და წევრი. იგი ჩართული იყო რამდენიმე კვლევითი პროექტის მომზადების პროცესში, როგორც მეორე მრჩეველი, ამ ეტაპზე კი უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას კვლევითი პროექტის შეფასებაში. COST-ის მიერ გრუნის ორივე თანამშრომლის ექსპერტად შერჩევა განხორციელდა მათი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობიდან შესაბამისად. COST ევროკავშირის მიერ დაფუძნებული ერთ-ერთი უძველესი ასოციაციაა, რომელიც ევროპის მასშტაბით აფინანსებს და ხელს უწყობს მეცნიერებსა და მკვლევრებს, თავიანთ საქმიანობაში. https://gruni.edu.ge/main/news/1701193129 2023 წელსაც გაგრძელდა ტეხას ს&მ უნივერსიტეტის კვლევითი

	სემინარები გრუნის აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.1	**ცოდნის გაზიარების პლატფორმის - GRUNI TALKS , შექმნა და გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**შემთხვევის ანალიზი** საკითხის შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.2	**Ontario science centre-თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.3	**Science Publish Corporation- თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.6	**ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, ასევე, დეკანები, აკადემიური პერსონალი (11). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: გამოცემული ჟურნალები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.3.3	**კვლევით ერთეულებში პოსტდოქტორანტთა პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა აღნიშნული საკითხის განმახორციელებლი პერსონალი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი (11).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წლებია წარმატებით ახორციელებს ახალგაზრდა მკვლევრების, პოსტდოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამას. დღეისათვის უნივერსიტეტს ერთი პოსტდოქტორანტი ჰყავს - თამარ ხახიშვილი, **რომელიც თავის დროზე გრუნის დოქტორანტი გახლდათ და ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობით დაიმსახურა კიდეც ადგილი გრუნის მკვლევართა შორის პოსტდოქტორანტის სტატუსით.** თამარ ხახიშვილი წარმატებით განაგრძობს მუშაობას კვლევით პროექტზე და გეგმავს მონოგრაფიის გამოცემას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა „ინდუსტრია 5.0-ის გავლენა ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე“. საკვლევ თემასთან დაკავშირებით ინტერვიუს მოსამზადებლად მკვლევარი 2023 წლის სექტემბერში, გრუნის ფინანსური მხარდაჭერით, იმყოფებოდა ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლაში. პოსტდოქტორანტმა ინტერვიუ ჩაწერა პროფესორებთან - მაიკლ ენრაიტთან და ლორენ კოენთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ქალაქებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხები და მათზე ახალი ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდის - ინდუსტრია 5.0-ის, გავლენა. ახალგაზრდა მეცნიერი მომავალ წელს გეგმავს კვლევის გამოქვეყნებას მონოგრაფიის სახით. **გრუნიმ მასზე უკვე გასცა 4500 ლარიანი ფინანსური მხარდაჭერა აშშ-ში მივლინების მიზნით.** https://gruni.edu.ge/main/news/1696346917

	დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 2.3.4	**დოქტორანტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტები (12), შემოწმდა კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებულები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ გრუნიში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება და ახალი თაობის სამეცნიერო კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტებია, შესაბამისად, გრუნი მნიშვნელოვან მხარდამჭერ აქტივობებს ახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებში ახალგაზრდა მკვლევრების მონაწილეობის გასაზრდელად. **დოქტორანტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში:** 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა მეთორმეტე საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმი. ფორუმი ორგანიზებული იყო გრუნისა და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის (ESI) ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში. კონფერენცია გახსნა გრუნის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ, მან წარმატება უსურვა კონფერენციის მონაწილეებს, მადლობა გადაუხადა პარტნიორებს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, დოქტორი ჯოვან შოპოვსკი, ასევე, ევროპის

	სამეცნიერო ჟურნალის წარმომადგენელი, პროფესორი დეჟან მაროლოვი მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა საუნივერსიტეტო მედლით „ალმა მატერის რჩეული“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნის აკადემიური პერსონალის და დოქტორანტები, ასევე, პოლონელი, ამერიკელი, მექსიკელი, თურქი და სხვა ქვეყნების მეცნიერები. https://gruni.edu.ge/main/news/1696407190 **2023 წლის 20-22 ოქტომბერს** გრუნის დოქტორანტი **გუგული თურმანიძე** მონაწილეობდა სტამბულის Fenerbahce University - ის მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. გუგული თურმანიძემ კონფერენციის სამუშაო სესიაზე წარადგინა სამეცნიერო ნაშრომი “ღირსეული დასაქმება, როგორც მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის მიღწევის გარანტი (პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში)“, რომლის თანაავტორიც გახლავთ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ასისტენტი, დოქტორანტი ლევან მესხიშვილი. კონფერენციას სტუმრობდა 24 ქვეყნის 147 მეცნიერ-მკვლევარი საქართველოს, ბულგარეთის, ბანგლადეშის, კუბის, გერმანიის, საბერძნეთის, ინდორეთის, ინდონეზიის, ყირგიზეთის, კოსოვოს, ლიბანის, მალაიზიის, მალტას, მაროკოს, ნიგერიის, მაკედონიის, პაკისტანის, პოლონეთის, რუმინეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, უკრაინის და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. https://gruni.edu.ge/main/news/1701850441 **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.7	**ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მათი სწავლის დაფინანსებას და დოქტორანტის მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ.**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024

კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა დოქტორანტები, სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დეკანები, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ადამიანური რერსურსების სამსახურის ხელმძღვანელი (38). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: დოქტორანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრუნი ხელს უწყობს პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერების მოძიებასა და უნივერსიტეტში მათ ინტეგრაციას, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით. ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვის მექანიზმებია: ა) დასაქმების შესაძლებლობა სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში; ბ) ახალგაზრდა მკვლევართა ინიციატივების მხარდაჭერა; გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენის ხელშეწყობა საუნივერსიტეტო დონეზე; დ) ახალგაზრდა მკვლევართა საქმიანობის წახალისება; ე) საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდა და სხვა. შესაბამისად, გრუნის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა არა მარტო გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, არამედ წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის კვლევით ერთეულებს, მაგალითად: ✓ გრუნის დოქტორანტი თორნიკე მერებაშვილი ხელმძღვანელობს - „მიწის სამართლის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს“ (რექტორის ბრძანების საფუძველზე); ✓ გიორგი მომცელიძემ, როგორც დოქტორანტმა, დაარსა „იუვენოლოგიის სამეცნიერი-კვლევითი ლაბორატორია.“ (რექტორის ბრძანების საფუძველზე). ორივე ცენტრი აქტიურად არის ჩართული, როგორც საუნივერსიტეტო, ისე ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევით პროექტებში, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციაშიც, მათთან ერთად მუშაობენ გრუნის სხვა დოქტორანტები და ახალგაზრდა მკვლევრები. **ახალგაზრდა მეცნიერთა სხვა მხარდამჭერი ღონისძიებები:** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნინა გერსამია, რომელიც მედიაციის სფეროს იკვლევს, სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ლონდონში. ვიზიტის ფარგლებში დოქტორანტი ეწვია დავის გადაწყვეტის ეფექტური

	მექანიზმების ცენტრს (CEDR), შეხვდა მის ხელმძღვანელს ენდი როჯერსს და ცენტრის ბაზაზე გაეცნო მედიაციის სფეროში არსებულ თანამედროვე გამოწვევებსა და ლიტერატურას. CEDR წარმოადგენს გლობალურ ორგანიზაციას, რომელიც 2011-12 წლებში საქართველოში მედიაციის დანერგვის სათავეებთან იდგა და დღესაც აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ქვეყანასთან ამ მიმართულების შემდგომი განვითარების მიზნით. https://gruni.edu.ge/main/news/1697172293 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გრუნის აფილირებული ასისტენტის მარიამ ლაშხი მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. მარიამ ლაშხი რამდენიმე ათეული სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია, მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია SCOPUS-ის და ELSEVIER-ის წამყვან სამეცნიერო ბაზებში განთავსებულ ჟურნალებში, მათ შორის, ერთი - მონოგრაფიის სახით. სხვადასხვა დროს მარიამი მონაწილეობდა არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში როგორც ექსპერტი, კონსულტანტი და კოორდინატორი, მათ შორის, ისეთი ორგანიზაციების პროექტებში, როგორებიცაა: World Economic Forum (შვეიცარია), USAID (აშშ), Carnegie Endowment for International Peace (აშშ), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა. ამჟამად მარიამი არის დოქტორანტი და აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობის გარდა მუშაობს საერთაშორისო კომპანია PricewaterhouseCoopers-ში (PWC). https://gruni.edu.ge/main/news/1707889028 მიმდინარეობს დაკვირვება სხვა დოქტორანტებთან მიმართებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.2	**პლაგიატის აღმოჩენის უნარის გამომუშავების მიზნით ტრენინგების ორგანიზება მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის**

მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხნენ სტუდენტები, აკადემიური პერსონალი (35)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის გაცნობა. ამავე პერიოდში განხორციელდა სტუდენტებისთვის როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება პლაგიატის საკითხებთან დაკავშირებით. მომდევნო საანგარიშო პერიოდებშიც გაგრძელდება მუშაობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით, კერძოდ: **2023 წლის 10 ნოემბერს** გრუნიში დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროგრამის - ტურნიტინის, გამოყენების შესახებ. ტრენინგს უძღვებოდნენ რექტორის მოადგილე სამეცნიერო-კვლევით საკითხებში, პროფესორი ვახტანგ ჭარაია და ბიზნესისა და მართვის სკოლის მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი თენგიზ თაქთაქიშვილი. ტრენინგმა დოქტორანტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, დაისვა მრავალი პრაქტიკული შეკითხვა საკვალიფიკაციო ნაშრომების ციტირების წესის, პლაგიატზე შემოწმების, ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურის გამოყენებისა თუ სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1700630621 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.3	**ანტიპლაგიატის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვა**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024

კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი შემოწმდა აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ანტიპლაგიატის შესახებ განხორციელებული მუშაობის შესახებ. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.1.1	**პროფესიული გადამზადების სტრუქტურეული ერთეულის ან პასუხისმგებელი პირის გამოყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	რექტორის სამართლებრივი აქტით შეიქმნა პროფესიული განვითარების ცენტრი, დაინიშნა პასუხისმგებელი პირი, დამტკიცდა დებულება **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.2	**სკოლის მოსწავლეთათავის საგანმანთლებლო-შემეცნებითი აქტივობების განხორციელება TEEN აკადემიის ფარგლებში**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხნენ სტუდენტები, მოსწავლეები (54)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეებს განიხილავს, როგორც საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორს და საკუთარი კონტინგენტის შევსების ძირითად წყაროს, ამიტომ ის დაინტერესებულია მათთან თანამშრომლობით, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს

	მოსწავლეთა ინფორმაციულ განვითარებას, პროფესიულ ორიენტაციას, მეორე მხრივ, სტუდენტთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა ცდილობს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს საზოგადოების განვითარებას. ორი წელია პროექტმა Teen Academy"-ი გააფართოვა მოქმედების არეალი და პროფესიული ორიენტაციის გარდა, მისი ეგიდით წელს ტარდება: პროექტი „ბავშვები ბავშვებისათვის", პრაქტიკული ინგლისური ენის შესწავლის ორთვიანი კურსი, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის სასწავლო კურსი, კონკურსი მოსწავლეებისათვის მდგრადი განვითარების საკითხებზე და ა.შ. **პროექტი მოსწავლეებისთვის „ბავშვები ბავშვებისათვის".** პროექტს ხელმძღვანელობენ: უნივერსიტეტი და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სოფიო კილაძე. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვების ფორმირებას დემოკრატიული საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული, კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას, სხვაზე ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, ტოლერანტობისა და სოლიდარობის, პრინციპების დამკვიდრებას.პროექტი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, ერთი მხრივ, თავად იზრუნონ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, სამშობლოზე, მეორე მხრივ, სხვებსაც მისცენ მოტივაცია.2023 წლის 23 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში პროექტის გასაცნობად გაიმართა პირველი შეხვედრა სოფიო კილაძესთან, რომელმაც გააცნო მოსწავლეებს პროექტის არსი და მოთხოვნები და მისცა მონაწილეებს პირველი დავალებები. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 10-12 კლასების 2000 მოსწავლემ, მათ შორის, რეგიონებიდანაც. საუკეთესო მონაწილეები უნივერსიტეტის დაფინანსებით გაემგზავრებიან ჟენევაში, ეწვევიან ბავშვის უფლებების კომიტეტს, გაეცნობიან მის საქმიანობას, ესტუმრებიან იმ ადამიანებს, ვინც მუშაობს ბავშვთა უფლებების დასაცავად და სხვა. https://gruni.edu.ge/main/news/1705158338 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში დასრულდა პრაქტიკული ინგლისურის ორთვიანი, ფიზიკური და ვირტუალური, კურსი მოსწავლეებისათვის, რომელსაც ინგლისური ენის ამერიკელი ექსპერტი, მაიკ მენსფილდი, უძღვებოდა. ექსპერტს ასისტენტობას უწევდნენ ტეხას A&M უნივერსიტეტის TESOL პროგრამის კურსდამთავრებულები : ნატო ჯავახია და თინათინ ასათიანი. გრუნი ამერიკის საელჩოს დახმარებით ორი წელია ახორციელებს პრაქტიკული ინგლისური ენის კურსს მოსწავლეებისათვის, რომელიც ფოკუსირებულია სასაუბრო, ზოგად ინგლისურზე და მიზნად

	ისახავდა გამოთქმის, საუბრის, მოსმენის უნარისა და სიტყვების მარაგის გაუმჯობესებას. ორივე ჯგუფში (თბილისი, რეგიონები) **პარტნიორი სკოლების 60-მდე მოსწავლე იყო გაერთიანებული.** 2 თებერვალს, კურსის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე, პედაგოგებმა შეაჯამეს შედეგები და მადლობა გადაუხადეს თითოეულ მონაწილესა და უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისათვის. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ყოველი შეხვედრა იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი, მიიღეს უცხოური გამოცდილება, გაიმდიდრეს ლექსიკა, გაიუმჯობესეს მეტყველება, შეიძინეს მეგობრები. მოზარდებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს და ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს მაიკ მენსფილდს. ამასთან, სახალისო პრეზენტაციებითაც წარმოადგინეს კურსის საინტერესო და დასამახსოვრებელი მომენტები. https://gruni.edu.ge/main/news/1707454845 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლასთან არსებულმა სტუდენტურმა საინვესტიციო ფონდმა უკვე მეორედ უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებს და 2023 წლის 19, 20 და 22 დეკემბერს ფინანსური განათლების დონის ასამაღლებლად შესთავაზა მათ "საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შესავალი კურსი". პრაქტიკული აქტივობების სერიის მეშვეობით მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საფონდო ბირჟის, ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისა და ვაჭრობის დინამიკის შესახებ; ადგილზე გაეცნენ ცნობილი კომპანიების (Google, Microsoft, Amazon, Apple, Facebook, Tesla და ა.შ.) აქციებით ვაჭრობის პროცესს, ნიუ იორკის საფონდო ბირჟას, დააკვირდნენ, როგორ ხდება ბაზრის ანალიზი. მესამე დღეს მონაწილეებმა დემო ვერსიაში ივაჭრეს გუნდურად. მათი ამოცანა იყო ოქროს ღირებულების ცვლილებაზე დაკვირვება და შესაბამისი გარიგებების განხორციელება. გუნდებს ჰქონდათ საკუთარი ვირტუალური ბიუჯეტი, 10 ათასი დოლარის ოდენობით და მათი მიზანი ამ თანხის გაზრდა გახლდათ. შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი: 1. გურამ ცივაძე, ცოტნე შერაზადიშვილი, ნინი სისვაძე - თბილისის 29-ე სკოლა; 2. თათა ხვედელიძე, ლელა კვენიაშვილი - თბილისის 175-ე საჯარო სკოლა; 3. ლუკა ჩადუნელი, ოთო კახიძე - თბილისის 29-ე საჯარო სკოლა. https://gruni.edu.ge/main/news/1703745098 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროექტის - „ბავშვები თანასწორობისათვის", გამარჯვებული მოსწავლეები ევროტურიდან

	დაბრუნდნენ. უპრეცედენტო პროექტი, რომელიც გრუნიმ მოსწავლეებისათვის განახორციელა, მიზნად ისახავდა საზოგადოებაში თანასწორობის უფლების განმტკიცებას; მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობას; თანასწორობის უფლების დაცვისა და განვითარების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობას; მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას.2023 წლის 10-14 ოქტომბერს საუკეთესო პროექტების ავტორები: **ანა შამათავა, ნინი ქათამაძე** - სენაკის ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზია, პროექტი: „მეტი გრუნი სენაკის მუნიციპალიტეტსა და აფხაზეთში“; **სესილი დავლაძე, მარიამ შარაშენიძე** - ზესტაფონის №5 საჯარო სკოლა, პროექტი: ფორუმ-თეატრი „მომავალი ძალადობის გარეშე“; **სალომე ხურცილავა, მარიამ დათიაშვილი** - რუსთავის მე-18 საჯარო სკოლა, პროექტი: „ჩვენ ვირჩევთ თანასწორობას“; **გრიგოლ უსუფაშვილი** - თბილისის 162-ე საჯარო სკოლა. ევროპული სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, ბრიუსელს ესტუმრნენ. შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის მთავარ ინსტიტუციებში, მათ შორის, ევროპულ საბჭოში, ევროკომისიასა და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში, სადაც ახალგაზრდები ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ, გაეცნენ მათ ძირითად და მიმდინარე საქმიანობას, ევროკავშირის პრიორიტეტებსა და ინიციატივებს.შეხვედრები გაიმართა, ასევე, ევროკავშირის გაფართოების, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ჰიბრიდული საფრთხეების თემატიკაზეც. https://gruni.edu.ge/main/news/1699596220 **2023 წლის 3 სექტემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, Erasmus+ის პროექტის ფარგლებში, გაიმართა სესიები სახელწოდებით „სამოქალაქო და ლიდერული უნარების განვითარება ქართველი და ჩეხი გოგონებისთვის". სადისკუსიო თემები შეეხებოდა საზოგადოების ჩართულობასა და გენდერულ თანასწორობას. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე ჩეხი გოგონები, მათ შორის, გრუნის პროექტის - Teen Academy, გამარჯვებული მონაწილეები. პროექტის პირველი ნაწილი ჩატარდა ჩეხეთში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო შეხვედრა საჯარო და არაკომერციული სფეროს ლიდერებთან. შემაჯამებელ შეხვედრაზე გრუნიში გლოუკლუბის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მონაწილეებს, განიხილეს თანამედროვე, აქტუალური საკითხები

	და დაგეგმეს სამომავლო პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1696430548 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.3	**საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გაგრძელება და სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმის დამატება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, გამოიკითხნენ სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, მედიაციის ცენტრების წარმომადგენლები (18).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნის თბილისისა და ბათუმის მედიაციის ცენტრები აგრძელებენ მუშაობას და მოსახლეობის უფასო მომსახურებას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.3.2	**სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, გამოიკითხნენ სტუდენტები (45)

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი აგრძელებს პარტნიორებთან თანამშრომლობასა და გრუნის სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო სასერტიფიკატო პროექტში. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სასერტიფიკატო პროგრამები:** **2024 წლის 24 თებერვალს,** გაიმართა ახალგაზრდული ლიდერობის სასერტიფიკატო პროგრამის (IYLCP) პირველი ვირტუალური სესია. ლიდერობის პროგრამა გრუნის, სინგაპურში დაფუძნებულ Global Citizen Education Group-ისა და აზერბაიჯანის განათლების მენეჯერთა საერთაშორისო ასოციაციის საერთო პროექტია, რომელიც შექმნილია მე-9 - მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, ფილიპინებიდან და ვიეტნამიდან. IYLCP არის ინტენსიური 9-კვირიანი ონლაინ პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებს იმ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, რაც თანამედროვე ლიდერად ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო. სესიები ტარდება ინგლისურ ენაზე და მოიცავს შემდეგ თემებს: ლიდერობის ტიპები, დროის მენეჯმენტი, მიზნის დასახვის ხელოვნება, სტრესის მენეჯმენტი, ემოციური და კულტურული ინტელექტი, პრობლემისა და კონფლიქტის გადაჭრის გზები, მეწარმეობა, პროექტის მენეჯმენტი, ეფექტური კომუნიკაცია და ნეთვორქინგი. პროგრამა გაგრძელდება 2024 წლის 24 თებერვლიდან 20 აპრილამდე. პირველი სესია, რომელსაც უძღვებოდა ჯონ ფანგი, The Global Citizen Education Group-ის ბიზნეს ოპერაციების დირექტორი, ეხებოდა ეფექტურ ლიდერობას. საქართველოდან შერჩეულ კანდიდატებში არის 10 მონაწილე, რომლებსაც კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გადაეცემათ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატები: 1. ნია მაჭარაშვილი -სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS; 2. გიორგი ტატალაშვილი- სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS; 3. ქეთევან ჯიშიაშვილი - ტყიბულის #1 საჯარო სკოლა; 4. ანი ჯოჯუა - თბილისის # 71-ე საჯარო სკოლა; 5. მარიამ მჭედლური - თბილისის # 107-ე საჯარო სკოლა; 6. მზია გოდაძე - ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი; 7. ლილე კამლაძე - ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი; 8. საბა ზარანდია - თბილისის სკოლა-ლიცეუმი "მწიგნობართუხუცესი;;" 9. ანი ბერიკაშვილი - თბილისის კლასიკური გიმნაზია

	10. ლაშა კავთელაძე -თბილისის # 107-ე საჯარო სკოლა. https://gruni.edu.ge/main/news/1709019491 2023 წლის 20-27 ნოემბერს გრუნის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის ფსიქოლოგიის მიმართულების წარჩინებული სტუდენტი, ქრისტი ლეკიშვილი, იმყოფებოდა გიუმრიში, სომხეთში. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში, გრუნის სტუდენტი, პარტნიორი ორგანიზაცია „დრონის" მხარდაჭერით ჩაერთო. პროექტი არაფორმალური განათლების საკითხებს განიხილავდა და მისი მთავარი მიზანი იყო პიროვნების განვითარების, კარიერული წინსვლისა და მომავლის სწორი დაგეგმარების საკითხების განხილვა. პროექტის განმავლობაში არაერთი საინტერესო დისკუსია გაიმართა ამ საკითხებზე. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ქვეყნების გამოცდილება და მოისმინეს საინტერესო მოსაზრებები. პროექტი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ სტუდენტები გაეცნეს სხვადასხვა ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებსა და გასტრონომიას. https://gruni.edu.ge/main/news/1702479617 **2023 წლის 14-24 სექტემბერს** გრუნის მედიცინისა და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები: ანა დავაძე, ანი ცერცვაძე, ვახო ბაბუნაშვილი და ლაილა პაგანი საფრანგეთში, საერთაშორისო სემინარებზე, იმყოფებოდნენ. ათდღიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები ასოციაციის - „ქართველი ახალგაზრდები ევროპისთვის“, მხარდაჭერით ჩაერთვნენ, რომელიც გრუნის პარტნიორი ორგანიზაცია 2023 წლის 19 სექტემბერიდან გახდა. პროექტში, რომელსაც მასპინძლობდა ორგანიზაცია „Ligue de l'enseignement des Côtes d'Armor“, მონაწილეობდნენ ახალგაზრდები საქართველოდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან და გერმანიიდან. სემინარების ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ არაძალადობრივი კომუნიკაციის ძირითადი მეთოდები და მულტიკულტურულ გარემოში სხვებთან ურთიერთობის სპეციფიკა. დამატებით, ახალგაზრდებმა სხვადასხვა ღონისძიებაშიც მიიღეს მონაწილეობა, როგორებიცაა: პრეზენტაციები, როლური თამაშები, დებატები, კულტურული საღამოები და სხვ. საერთაშრისო სემინარები, სახელწოდებით „Let It Slow”, რომელმაც მნიშვნელოვანი და ღირებული ცოდნა შესძინა სტუდენტებს, დაფინანსდა ევროკავშირის მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1696075452

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 4.1.2	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**უნივერსიტეტის ქონების გაქირავებიდან და მომსახურებიდან** 2023 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **310 248 ლარი.** **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.3	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა გადამზადების პროგრამებით მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გადამზადების პროგრამებით უნივერსიტეტის მიერ მიღებულმა შემოსავალმა **2023 წელს შეადგინა -15 983 ლარი.** **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.5	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, გამოყენებულია სალექციო კურსის ჩასატარებლად თბილისიდან ჩასული უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების დასაბინავებლად, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში ჩატარებული კონფერენციებისა და აქტივობების პერიოდში ჩასული სტუმრებისათვის, ანუ ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლი გამოყენებამ უნივერსიტეტის მიზნებისთვის არაპირდაპირ უზრუნველყო უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 4.3.2	**აფილირებული აკადემიური პერსონალის ეტაპობრივი გადაყვანა მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აფილირებული აკადემიური პერსონალის მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 4.4.3.	**პროფესიული განვითარების დიფერენცირებული პროგრამების განხორციელება აკადემიური პერსონალისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2023-2024 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2024
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**2024 წლის 29 თებერვალს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა მოიწვია პროფესიული განვითარების კონფერენცია ინგლისური ენის სწავლების საუკეთესო მეთოდებისა და პრაქტიკის შესახებ (TESOL პროგრამის მიხედვით). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნის პარტნიორი სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები და დირექტორები, ასევე, ტეხას ა&მ უნივერსიტეტის TESOL პროგრამის კურსდამთავრებულები თბილისიდან და სხვადასხვა რეგიონიდან, სულ 100-მდე მონაწილე, როგორც ფიზიკურად, ისე ვირტუალურად. კონფერენცია გახსნა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ვახტანგ ჭარაიამ და რექტორის მრჩეველმა, ანა აბესაძემ. სამუშაო სესიებზე, რომელსაც ფულბრაითის პროგრამის ენის ექსპერტები: მაიკ მენსფილდი, პოლ ტუკი და კაილა მაკმილანი უძღვებოდნენ, განიხილეს შემდეგი თემები: მეცადინეობის ეფექტური დაგეგმვის მიდგომები, საუბრის უნარების გაუმჯობესება, სტუდენტების მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უფასო სწავლების რესურსების გაზიარება. https://gruni.edu.ge/main/news/1709293787 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო აკადემიასთან, პროექტის - Erasmus + LIFESTAND ფარგლებში თანამშომლობს. აღნიშნული პროექტი

	მოიცავს უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის პირველადი დახმარების უნარების სწავლებასა და ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას. ასევე, პოტენციურად მაღალი მილიტარისტული რისკის ზონებში მცხოვრებელი მოწყვლადი მოსახლეობისთვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების სწავლებას. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამი თანამშრომელი, მედიცინის სკოლის დეკანი ანა თეგეთაშვილი, პროფესორი ზაზა ბერიშვილი და სკოლის ხარისხი უზრუნველყოფის კოორდინატორი ნინო გორდელაძე, თებერვალში იმყოფებოდნენ საქართველოსა და უკრაინის რვა სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელაში (ესპანეთი) და პორტოში (პორტუგალია). კონსორციუმის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენიგებში, რომელიც ეხებოდა პირველადი, გადაუდებელი დახმარების უნარების განვითარებას. ტრენინგი ფოკუსირებული იყო სცენარზე დაფუძნებულ სწავლებაზე, გადაუდებელ დახმარებაზე, მრავალმსხვერპლიან სიტუაციებში ტრიაჟზე, მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ შეფასებასა და მხარდაჭერაზე. სამუშაო შეხვედრები პორტოს უნივერსიტეტში გაგრძელდა, სადაც ტრენინგის მონაწილეებმა პოლიტრავმირებული პაციენტების სისტემური შეფასება და ევაკუაციის სცენარები განიხილეს.https://gruni.edu.ge/main/news/1709632732 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის, საზოგადოებრივი სერვისების კოორდინატორისა და ახალგაზრდა დოქტორთა კლუბის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ. ტრენინგში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები. მონაწილეებს მიესალმა რექტორის მოადგილე გიორგი მირიანაშვილი, რომელმაც ისაუბრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის შესრულების პროცესში საჯარო და კერძო ორგანიზაციების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. ტრენინგი ჩაატარა პერსონალურ მონაცემთა ექსპერტმა სოფიო შამუგიამ. ტრენინგის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სწავლა-სწავლების ის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტზე ცოდნის მარტივად და ხარისხიანად შეძენას. მონაწილეებს, რომლებმაც ტრენინგი წარმატებით გაიარეს, ახალგაზრდა დოქტორთა კლუბის

	თავმჯდომარემ -ნინო ხარატმა, სერტიფიკატები გადასცა და წარმატება უსურვა. საზოგადოებაში ტრენინგის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი და ახალგაზრდა დოქტორთა კლუბი აგრძელებენ საჯარო და კერძო ორგანიზაციების მხარდაჭერასა და ტრენინგების ჩატარებას. https://gruni.edu.ge/main/news/1709209195 https://gruni.edu.ge/main/news/1707889539 პროფესიული განვითარების ფარგლებში უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგი მეცნიერ-ხელმძღვანელებისათვის. პროგრამას უძღვებოდა რექტორის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ ჭარაია. ტრენინგზე განხილულ იქნა დოქტორანტებთან მუშაობის თანამედროვე მიდგომები, მეცნიერ-ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ერთობლივი კვლევების განხორციელების პრობლემები, სამეცნიერო სტატიის მომზადებისა და საერთაშორისო სამეხნიერო ჟურნალებში განთავსების საკითხები, ციტირების გაზრდის შესაძლებლობები. მონაწილეებმა იმსჯელეს მეცნიერ-ხელმძღვანელის სამეცნიერო აქტივობის ახალი სტანდარტების პროექტის შესახებ. ტრენინგის მსმენელები იყვნენ პროფესორები: გულნაზ გალდავა, თენგიზ თაქთაქიშვილი; გიორგი მირიანაშვილი, ამირან მოსულიშვილი, თამარ ვეფხვაძე, მაია მელაძე, მაკა ფირანაშვილი, მურთაზ კვირკვაია, ვასილ კიკუტაძე, გია დეკანოზიშვილი, თეა სამჭკუაშვილი, ზურაბ აზნაურაშვილი, ნიკა ასვანუა, გოჩა ოჩიგავა. https://gruni.edu.ge/main/news/1708663720 უნივერსიტეტში ჩატარდა მეცნიერ-ხელმძღვანელების ფასილიტაციის სესია, რომელსაც გაუძღვა რექტორის მოადგილე სამეცნიერო საკითხებში, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი ვახტანგ ჭარაია. სესიის მონაწილეები გაეცნენ უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით განხორციელებული პროექტების/აქტივობების სტატისტიკურ და შინაარსობრივ მონაცემებს, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება დოქტორანტებთან მუშაობის სტილის შესახებ - იმსჯელეს სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის ფორმირების, მეცნიერ-ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და გამოქვეყნებული ნაშრომების ფორმატის მნიშვნელობის შესახებ. განიხილეს დოქტორანტურის სტანდარტის პროექტი ფასილიტაციის სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორები - მამუკა თავხელიძე, მერაბ ტურავა, ზურაბ ძლიერიშვილი, ვალერი ხრუსტალი, მიხეილ გოგატიშვილი, თამარ გამსახურდია, ოთარ გერზმავა. https://gruni.edu.ge/main/news/1708516846

	2024 წლის 15 თებერვალს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ონლაინსესია ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსებისა და მათზე უფასო წვდომის შესაძლებლობის გაცნობას. ღონისძებას, რომელსაც უძღვებოდა გრუნის ინგლისური ენის ექსპერტი, მაიკ მენსფილდი, ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პარტნიორი სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, გრუნის მიერ დაფინანსებული ტესოლ პროგრამის კურსდამთავრებულები და უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგები. მაიკ მენსფილდმა მონაწილეებს გააცნო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკული ინგლისური ენის ორგანიზაციის სხვადასხვა ღირებული რესურსი: წინასწარ შემუშავებულ კურსები საკლასო ოთახში ინტეგრაციისთვის, პროფესიული განვითარების მოდულები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლების პრაქტიკის ამაღლებას, ასევე, წინასწარ შემუშავებულ გაკვეთილები და აქტივობები დინამიკური და ეფექტური სწავლების სტრატეგიების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, მონაწილეებს ჰქონდათ წვდომა აკადემიურ პუბლიკაციებზე თავიანთი სასწავლო რეპერტუარის გასამდიდრებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1708848780 **2024 წლის 16 თებერვალს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საზეიმოდ დაიხურა ტეხას ა&მ უნივერსიტეტის ინგლისური ენის სპეციალისტთა გადამზადების- „TESOL“ პროგრამის მესამე ეტაპი და კვლევითი სემინარების -„Paths to Publication“-ის მეორე ეტაპი. ორივე პროგრამა განხორციელდა ტეხას ა&მ უნივერსიტეტთან პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში. 3-თვიანი TESOL პროგრამა, რომელსაც ტეხას ა&მ უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების ცენტრი უწევს ადმინისტრირებას, შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმაროს ქართველ ლექტორებს/მასწავლებლებს, განაახლონ ცოდნა სწავლების საუკეთესო მეთოდებისა და პრაქტიკის გაცნობით და შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ, ასწავლონ ინგლისური ენა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც ფიზიკურად, ისე ვირტუალურად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა, მესამე ეტაპზე საქართველოს რეგიონის სკოლების 12 მასწავლებელი დააფინანსა სრულად, სულ კი პროგრამის ფარგლებში გრუნიმ 23 მასწავლებელი მოამზადა. ტეხას ა&მ უნივერსიტეტის ორმაგი ენისა და წიგნიერების შეძენის კვლევისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა, რეგენტმა პროფესორმა - ლარა-ალესიომ, განაცხადა: ,,ტესოლ პროგრამის გავლა თითოეული პროფესიონალისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, განსაკუთრებით

	ჩვენს, მსოფლიო დონის საგანმანათლებლო - კვლევით ცენტრში, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს ორენოვანი განათლების სფეროში.“ პროფესიული განვითარების საერთაშორისო კვლევითი სემინარები - „Paths to Publication”, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს ტეხას ა&მ-ის უნივერსიტეტის განათლებისა და კვლევის სკოლა და კურსდამთავრებულთა მრჩეველთა საბჭო, მოიცავს კვლევასთან, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებასთან, გამოქვეყნებასა და გრანტებთან დაკავშირებულ ლექციებს. 2023 წლის შემოდგომის სემესტრში, გრუნის 60 ახალგაზრდა მკვლევარი და აკადემიური პერსონალი ჩაერთო პროექტში. ლექციებს უძღვებოდნენ ტეხას ა&მ - ის უნივერსიტეტის საუკეთესო სპეციალისტები. პროგრამებს გრუნის მხრიდან კოორდინაციას უწევდა რექტორის მრჩეველი, ანა აბესაძე.პროგრამების დასრულებისა და სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ: აშშ-ის საელჩოს საჯარო დიპლომატიის მრჩეველი, ალექს დენიელსი და ინგლისური ენის პროგრამების კოორდინატორი - ლიკა გუმბერიძე, უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე, ონლაინ - ტეხას ა&მ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები: პროფესორი ბევერლი ირბი, განათლებისა და კვლევის სკოლის დეკანის მოადგილე; პროფესორი რაფაელ ლარა-ალესიო, კვლევისა და განვითარების ცენტრის დირექტორი და პროფესორი მეთიუ იტჩელსი, საერთაშორისო პარტნიორობის დირექტორი; გრუნის აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები; TESOL პროგრამის მონაწილე სკოლების პედაგოგები რეგიონებიდან. https://gruni.edu.ge/main/news/1708344210 **2024 წლის 10-11 თებერვალს** კაჭრეთში გაიმართა English Book Education-ის ყოველწლიური საგანმათლებლო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდა 300-მდე სასწავლო დაწესებულება, როგორც სკოლა, ისე უნივერსიტეტი. კონფერენციაზე განიხილეს მედიცინაში სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები. დიდი ინტერესი გამოიწვია კორსერას პლატფორმამ და მისმა შესაძლებლობებმა. წარმომადგენლებმა განიხილეს გზები და ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც მათ დღეს აქვთ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მედიცინის სკოლი დეკანის მოადგილეები ნინო გორდელაძე და ილონა ბიტაროვა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ორგანიზაციის „Macmillan Education“, რეგიონალური დირექტორი, Daniel Wyzina, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავიანთი ორგანიზაცია და საქმიანობა. https://gruni.edu.ge/main/news/1708345377 **2023 წლის 28 დეკემბერს,** გრუნის OSCE-ის კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ჩატარდა ონლაინტრენინგი „საქართველოში OSCE-

	ს განვითარების პერსპექტივები“. ტრენინგი, ტრადიციულად, წინ უძღვოდა იანვრის ბოლოს დაგეგმილ OSCE-ს საგამოცდო სესიას და მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას, როგორც დარგის უახლესი ტენდენციების, ისე გამოცდის ჩატარების ტექნიკური საკითხების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ მედიცინის მოწვეული ლექტორი - შემფასებლები: მარიამ სილაგავა, მარინა ყუფარაძე, რუსუდან ყულიაშვილი, პეტრე ღვანიძე, მარიამ მორჩილაძე, თამილა სილაგაძე, ნინო ჭაღიაშვილი, ანი ჭანიშვილი. შეხვედრას უძღვებოდა საგანგებოდ მოწვეული ლექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი - ია ავალიანი, რომელიც, ამავდროულად, არის ნოემბერში დასრულებული პროგრამა ERASMUS-ის პროექტის „SAFEMED+“-ის კოორდინატორი. აღნიშნული პროექტი საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში OSCE-ს ევროპული გამოცდილების დანერგვის საკითხებს განიხილავდა. ია ავალიანის მიერ ჩატარებული ლექცია - ტრენინგი, ერთი მხრივ, ეხებოდა ევროპული სამედიცინო განათლების უახლეს ტენდენციებს, მეორე მხრივ კი, განვითარების ევროპული დონის მიღწევის პერსპექტივებს საქართველოში. https://gruni.edu.ge/main/news/1705074118 **2023 წლის 27 ნოემბრიდან 1-ლი დეკემბრის ჩათვლით** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საჯარო, კერძო და აკადემიური სფეროების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა გრუნის პროფესორის, დოქტორ ღასან ხალილის საერთაშორისო ლიდერობის სასწავლო კურსი. მონაწილეები ხუთი დღის განმავლობაში გაეცნენ ღირებულებებზე დაფუძნებული ლიდერობის პრინციპებსა და პრაქტიკას, შეისწავლეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ადაპტაციური და სიტუაციური ლიდერობა, ემოციური ინტელექტი, რეფლექსიის როლი ლიდერის განვითარებაში, ცვლილებების მართვა, გუნდის წარმატებით გაძღოლა ორგანიზაციაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თითოეულ მონაწილეს გამოადგება სხვადასხვა ლიდერულ პოზიციაზე მუშაობისას. კურსი მოიცავდა 20 ძირითად თემას ლიდერული უნარებისა და კომპეტენციების შესახებ, ასევე, მნიშვნელოვან სიახლეებს სხვადასხვა გამოცდილებისა და განათლების მქონე პირებისათვის. სასწავლო კურსში მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საერთაშორისო ლიდერობის კურსი 1-ელ დეკემბერს, ღირებულებებზე დაფუძნებული ლიდერობის შესახებ საჯარო ლექციითა და პანელური დისკუსიით დასრულდა, რის შემდეგაც მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, განათლებისა და

	მეცნიერების სამინისტროს, სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, აგრეთვე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. https://gruni.edu.ge/main/news/1701841630 **2023 წლის 20 ნოემბერს** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ტრენერი, სამეცნიერო ექპერტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - თამარ გაგოშიძე, იწყებს საჯარო ლექცია-ტრენინგების ციკლს: „დისკურსის ხელოვნება, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების ეფექტური იარაღი“. ლექცია-ტრენინგი განკუთვნილია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიისა და მენეჯმენტის მიმართულების სტუდენტებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1700244567 2023 წლის 3-5 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ტეხას ა&მ უნივერსიტეტთან ერთად განახორციელა ორი უპრეცედენტო პროექტი: კვლევითი სემინარები ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევრებისათვის და „განათლების ლიდერობის ჩარჩო“ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გასაძლიერებლად. ორივე პროექტი სპეციალურად გრუნისთვის მოამზადა ტეხას ა&მ უნივერსიტეტის განათლების ლიდერობის კვლევითმა ცენტრმა. 2023 წლის 4-5 ნოემბერს თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, საჩხერის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, გორის, ჭიათურის, წყალტუბოსა და სენაკის კერძო და საჯარო სკოლების 50-მდე დირექტორი მონაწილეობდა პროექტში. ტრენინგს უძღვებოდა უნივერსიტეტის მიერ საგანგებოდ მოწვეული ამერიკელი პროფესორი, ტეხას ა&მ უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორობის დეპარტამენტის დირექტორი, მეთიუ ეტჩელსი. ორი დღის განმავლობაში სკოლების ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ლიდერობის უახლეს კვლევებსა და პრაქტიკას, გაეზიარებინათ ამერიკული გამოცდილება, სწავლაზე ორიენტირებული მიდგომა და ესაუბრათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: სკოლის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა და სასკოლო კულტურის შექმნა; სტრატეგიული კრეატიული ლიდერობა; ხედვა, მისია და მიზნები სასწავლო საზოგადოებაში; კონფლიქტების მოგვარება; შეფასება და სკოლის საჭიროებები; მონაცემთა მართვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ტრენინგი ინტერაქტიური იყო, დირექტორებმა ამერიკელ პროფესორთან ერთად განიხილეს სკოლების გასაძლიერებლად აუცილებელი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და მიიღეს რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებასა და მოსწავლეთა განვითარებას.

	ტეხას ა&მ უნივერსიტეტთან ორწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ https://gruni.edu.ge/main/news/1702398934 ახლად არჩეული და მოწვეული პერსონალის საუნივერსიტეტო გარემოსთან სწრაფი ადაპტირების მიზნით, გრუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმდინარე წლის 6 და 10 ოქტომბერს ჩაატარა სწავლება. ტრენინგის ცალკეულ თემატურ სექციებს უძღვებოდნენ: რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე; რექტორის მოადგილე იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხებში, პროფესორი გულნაზ გალდავა; რექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში მოგელი შენგელია; რექტორის მოადგილე სტუდენტური მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში, პროფესორი გიორგი მირიანაშვილი; პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ფიქრია ბერიძე; ადამიანური რესურსების მართვის ცენტრის ხელმძღვანელი ნანა ყუბანეიშვილი; ელექტრონული ბაზების ადმინისტრატორი ნათია ტაბატაძე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ახალ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გააცნეს უნივერსიტეტის მისია, საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსი, აკადემიური თავისუფლების პრინციპები, სტუდენტებთან ურთიერთობის ტაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაციები; განუმარტეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებისა და უკუკავშირის პრინციპები, პროგრამის/სილაბუსის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების წესები, სწავლება-სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები, სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების პროცედურები, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ნექსუსი) მუშაობის პრინციპები და ფორმები, უპასუხეს მათ შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1709527994 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 2022 წლიდან თანამშრომლობს **Texas A& M** უნივერსიტეტთან და წარმატებით ახორციელებს რამდენიმე პროექტს, მათ შორის, საჯარო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული გადამზადების (TESOL), TESOL პროგრამის ორი ნაკადის წარმატებით განხორციელების შემდეგ, გრუნი მესამე ნაკადისთვის სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების 12 მასწავლებელს აფინანსებს. პროგრამის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა, აშშ-ის საელჩოს რეკომენდაციით, შეარჩია ინგლისური ენის მასწავლებლები

	ნინოწმინდიდან, ტყიბულიდან, ქუთაისიდან, მარნეულიდან, ახალქალაქიდან, რუსთავიდან, წალენჯიხიდან, ხარაგაულიდან და პანკისიდან, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი გრუნის კიდევ ერთი უპრეცედენტო მხარდაჭერის გამოხატულებაა. 2023 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა შერჩეული პროფესორ-მასწავლებლების საინფორმაციო ონლაინშეხვედრა ტეხას ა&მ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. საინფორმაციო სესიას უძღვებოდნენ - პროფესორი მეთიუ ეტჩელსი **Texas A& M** უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორობის დირექტორი და იოკ ჰანსონი, განათლების სკოლის დოქტორანტი და მკვლევარი. შეხვედრას ესწრებოდა წინა ნაკადის წარმატებული კურსდამთავრებული - ნატო ჯავახია, რომელმაც მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. https://gruni.edu.ge/main/news/1696827657 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**